



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”  
სოციალური სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი

გ. აღმაშენებელი

ბიორბი ალასანია

„17“ იანვარი „ 2013 წელი

გვ. N2

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის“, სსიპ „ეროვნული  
სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ და სსიპ „მუნიციპალური განვითარების  
ფონდის“ მიერ განხორციელებული განათლების სისტემის გარდაქმნისა და  
განმტკიცების პროექტის-APL2 ფინანსური და შესაბამისობის  
აუდიტის ანგარიში 6100

## სარჩევი

|                                                                        |    |
|------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი                                                               | 2  |
| პროექტის მოკლე მიმოხილვა                                               | 3  |
| ძირითადი ტექსტი                                                        | 4  |
| პროექტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები                         | 4  |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო                      | 6  |
| სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი“                 | 8  |
| სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“                    | 14 |
| სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“                     | 18 |
| აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი და აუდიტის ჯგუფის წევრის ხელმოწერა | 23 |

### შესავალი

აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 13 მაისის N57/43 ბრძანება („საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის აუდიტის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 29 დეკემბრის ბრძანება N314/42).

აუდიტის ობიექტი - სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი“ და სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“.

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი - 0146, უზნაძის ქ. N52.

ქ. თბილისი - დ. აღმაშენებლის გამზ. N150.

აუდიტის ჯგუფი - აუდიტორი ელგუჯა ბეროშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორები პაატა ლურსმანაშვილი, გურამ სალუქვაძე და აუდიტორ-ასისტენტი ირაკლი კვირიკაშვილი (გათავისუფლებულნი არიან დაკავებული თანამდებობიდან).

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

აუდიტის პერიოდი: 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - განისაზღვრა 37 კალენდარული დღით, 2010 წლის 13 მაისიდან 2010 წლის 19 ივნისამდე.

შენიშვნა: აუდიტის დროს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი და აუდიტის პერიოდში აუდიტის პასუხისმგებელ პირთა სია აქტს ერთვის დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

### შემოკლებანი:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი - მინისტრი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - ხაზინა.

## APL №2 პროექტის მოკლე მიმოხილვა

საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის 2006 წლის 17 ნოემბერს ხელი მოეწერა დაფინანსების ხელშეკრულებას (განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი (APL №2)), რომელიც იმავე წლის 27 დეკემბერს რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის N 4162-რს დადგენილებით. კრედიტის ნომერი 4246-GE.

პროექტის მიზანია დაეხმაროს ბენეფიციარს დაწყებითი და ზოგადი განათლების ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებაში პროექტის პირველი ფაზის განმავლობაში შექმნილი ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩოს განხორციელების გზით, ისევე როგორც, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სკოლების აშენების გზით. პროექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

### 1. პედაგოგიური გარემოს გაუმჯობესება:

ა) ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და მოსწავლეთა შეფასების სისტემის გაძლიერება;

ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერება.

### 2. სასწავლო მატერიალური ბაზის გაუმჯობესება:

სასწავლო მატერიალური გარემოს ბაზის გაუმჯობესება, რვა სკოლის აშენების, მოწყობისა და აღჭურვის გზით.

### 3. პროექტის მართვა, მონიტორინგი და შეფასება:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის საკოორდინაციო ერთეულის<sup>1</sup>, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინსტიტუციური ხელშეწყობა პროექტთან დაკავშირებულ საქმიანობაში, ფინანსურ აუდიტთან, პროექტის განხორციელების ზედამხედველობასა და შეფასებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ კომპონენტებს ახორციელებს სამი ორგანიზაცია:

1. პირველი „ა“ და მე-3 კომპონენტს - სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი“;

2. პირველი „ბ“ და მე-3 კომპონენტს - სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“;

3. მე-2 და მე-3 კომპონენტს სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“.

<sup>1</sup> გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 დეკემბრის N597 ბრძანებულების თანახმად

## ძირითადი ტექსტი

### 1. პროექტის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სახსრები

განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის APL2 მიზანია გააუმჯობესოს საქართველოში დაწყებითი და საშუალო განათლების ხარისხი და ეფექტიანობა, ასევე, განახორციელოს უკიდურესად ავარიულ მდგომარეობაში არსებული სკოლების რეკონსტრუქცია. ამ მიზნით პროექტის ფარგლებში ფინანსდებოდა (მათ შორის საქართველოს მთავრობის მიერ, უცხოური კრედიტით და გრანტით) ტრენინგები, პუბლიკაციების გამოცემა-გავრცელება, სემინარები და კონფერენციები, საავტორო უფლებების შეძენა, თარგმნა, ნაბეჭდი მასალების შეძენა ბიბლიოთეკებისათვის, სასწავლო მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და სხვა.

დაფინანსების სხვადასხვა წყაროებიდან გათვალისწინებული სახსრები შეადგენდა 23725.7 ათასი აშშ დოლარს, კერძოდ:

ათ. აშშ დოლარი

| კომპონენტი                                                                    | საქართველოს მთავრობა | IDA<br>(მსოფლიო<br>ბანკის<br>კრედიტი) | PHRD<br>იაპონიის მთავრობის<br>თანადაფინანსება<br>გრანტი | სულ     |
|-------------------------------------------------------------------------------|----------------------|---------------------------------------|---------------------------------------------------------|---------|
| 1) პედაგოგიური გარემოს გაუმჯობესება                                           |                      |                                       |                                                         |         |
| ა) ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და მოსწავლეთა შეფასების სისტემის გაძლიერება | 1680,9               | 250,0                                 | 3647,7                                                  | 5578,6  |
| ბ) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერება.                 | 521,2                | 0,00                                  | 1102,2                                                  | 1623,4  |
| 2) სასწავლო მატერიალური ბაზის გაუმჯობესება                                    | 50,0                 | 13750,0                               | 150,0                                                   | 13950,0 |
| 3) პროექტის მართვა, მონიტორინგი და შეფასება                                   | 1523,7               | 1000,0                                | 50,0                                                    | 2573,7  |
| სულ                                                                           | 3775,8               | 15000,0                               | 4949,9                                                  | 23725,7 |

მსოფლიო ბანკის კრედიტით ფინანსდებოდა სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ პროექტის მეორე და მესამე კომპონენტით გათვალისწინებული სამუშაოები, ასევე სსიპ „ეროვნულ სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ მიერ პირველი „ა“ ქვეკომპონენტით განსახორციელებელი ერთი ღონისძიება - განათლების მეცნიერებაში საავტორო უფლებისა და თარგმანების გამოცემა და ნაბეჭდი მასალების შეძენა ბიბლიოთეკებისათვის (250,0 ათასი ლარი). ხოლო პირველი „ა“ ქვეკომპონენტით გათვალისწინებული დანარჩენი და პირველი „ბ“ ქვეკომპონენტის ხარჯები სრულად ფინანსდებოდა იაპონიის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანადაფინანსების ფარგლებში. საქართველოს მთავრობის დაფინანსება კი გათვალისწინებული იყო ყველა კომპონენტის მიხედვით.

სახელმწიფო ბიუჯეტის 2008 და 2009 წლის კანონებში შეტანილი ცვლილებების შედეგად, APL2 პროექტის დაფინანსების გეგმა განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

2008

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება                                                     | 2008 წლის გეგმა | მ. შ., საბიუჯეტო სახსრები | მ. შ., კრედიტები და გრანტები |
|--------------------|----------------------------------------------------------------|-----------------|---------------------------|------------------------------|
| 32 18 02           | განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი – APL2 | 7,308.8         | 0.0                       | 7,308.8                      |
|                    | ხარჯები                                                        | 1,068.8         | 0.0                       | 1,068.8                      |
|                    | სუბსიდიები                                                     | 1,068.8         |                           | 1,068.8                      |
|                    | არაფინანსური აქტივები                                          | 6,240.0         |                           | 6,240.0                      |

2009

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება                                                     | 2009 წლის გეგმა | მ. შ., საბიუჯეტო სახსრები | მ. შ., კრედიტები და გრანტები |
|--------------------|----------------------------------------------------------------|-----------------|---------------------------|------------------------------|
| 32 18 02           | განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი – APL2 | 26,747.7        | 4,000.0                   | 22,747.7                     |
|                    | ხარჯები                                                        | 5,115.9         | 600.0                     | 4,515.9                      |
|                    | სუბსიდიები                                                     | 5,115.9         | 600.0                     | 4,515.9                      |
|                    | არაფინანსური აქტივების ზრდა                                    | 21,631.8        | 3,400.0                   | 18,231.8                     |

მსოფლიო ბანკისგან მიღებულმა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით გამოყოფილმა ასიგნებებმა სულ 26238,4 ათასი ლარი ანუ დაგეგმილთან შედარებით (23725,7 ათასი აშშ დოლარი X 1,74 = 41282,7 ათასი ლარი) 15044,3 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

ათასი ლარი/დოლარი

| პროექტი „APL-2“-ის დაფინანსება |                        |                                        |               |                                                       |               |                                                     |              |               |               |
|--------------------------------|------------------------|----------------------------------------|---------------|-------------------------------------------------------|---------------|-----------------------------------------------------|--------------|---------------|---------------|
|                                | ორგანიზაცია            | სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ |               | სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი“ |               | სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“ |              | სულ           |               |
|                                | დამფინანსებელი         | აშშ.დოლარი                             | ლარი          | აშშ.დოლარი                                            | ლარი          | აშშ.დოლარი                                          | ლარი         | აშშ.დოლარი    | ლარი          |
| 2008 წელი                      | მსოფლიო ბანკის კრედიტი | 4912.0                                 | 7155.0        |                                                       |               |                                                     |              | 4912.0        | 7155.0        |
|                                | იაპონური გრანტი        |                                        |               | 787.5                                                 | 1159.8        | 201.3                                               | 310.5        | 988.8         | 1470.3        |
|                                | <b>სულ</b>             | <b>4912.0</b>                          | <b>7155.0</b> | <b>787.5</b>                                          | <b>1159.8</b> | <b>201.3</b>                                        | <b>310.5</b> | <b>5900.8</b> | <b>8625.3</b> |
| 2009 წელი                      | მსოფლიო ბანკის კრედიტი | 7195.2                                 | 12030.8       |                                                       |               |                                                     |              | 7195.2        | 12030.8       |

|     |                        |                |                |               |               |              |              |                |                |
|-----|------------------------|----------------|----------------|---------------|---------------|--------------|--------------|----------------|----------------|
|     | იაპონური გრანტი        |                |                | 674.3         | 1123.3        | 273.9        | 459.0        | 948.2          | 1582.3         |
|     | სახელმწ. ბიუჯეტი       |                | 4000.0         |               |               |              |              | 0.0            | 4000.0         |
|     | <b>სულ</b>             | <b>7195.2</b>  | <b>16030.8</b> | <b>674.3</b>  | <b>1123.3</b> | <b>273.9</b> | <b>459.0</b> | <b>8143.4</b>  | <b>17613.1</b> |
| სულ | მსოფლიო ბანკის კრედიტი | 12107.2        | 19185.8        | 0.0           | 0.0           | 0.0          | 0.0          | 12107.2        | 19185.8        |
|     | იაპონური გრანტი        | 0.0            | 0.0            | 1461.8        | 2283.1        | 475.2        | 769.5        | 1937.0         | 3052.6         |
|     | სახელმწ. ბიუჯეტი       | 0.0            | 4000.0         | 0.0           | 0.0           | 0.0          | 0.0          | 0.0            | 4000.0         |
|     | <b>სულ</b>             | <b>12107.2</b> | <b>23185.8</b> | <b>1461.8</b> | <b>2283.1</b> | <b>475.2</b> | <b>769.5</b> | <b>14044.2</b> | <b>26238.4</b> |

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

### 1. პროექტის კომპონენტების შესრულების მდგომარეობა

საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის 2006 წლის 17 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, განათლების სისტემის გარდაქმნისა და გამტკიცების (APL2) პროექტის ფარგლებში, პირველი და მესამე კომპონენტის განხორციელებაზე სამინისტროს უნდა გაეფორმებინა ხელშეკრულებები სსიპ - „ეროვნულ სასწავლო გეგმებისა და შეფასებისა“ და სსიპ - „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების“ ცენტრებთან, სადაც ზუსტად იქნებოდა გაწერილი პროექტის ფარგლებში მათ მიერ განსახორციელებელი საქმიანობები, თუმცა აღნიშნული ხელშეკრულებები არ გაფორმებულა. ასევე, სამინისტროს მიერ არ დამტკიცებულა იგივე კომპონენტების სახელმძღვანელო დოკუმენტი.

მეორე კომპონენტის მთავარი მიზანია გააუმჯობესოს სკოლაში სწავლებისათვის საჭირო გარემო ავარიულ მდგომარეობაში არსებულ სკოლებში, ინვესტიციების მოზიდვა პედაგოგიური სწავლების გარემოს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და იმის დემონსტრირებით, თუ რამდენად ეფექტურად შეიძლება გამოსწორდეს სკოლის ქსელი უფრო ეფექტიანი სასკოლო შენობის სტანდარტების მიღებისა და სკოლების გაერთიანების საშუალებით.

2007 წლის ოქტომბერში გადაწყდა, რომ რომ 8 სკოლიდან 1, კერძოდ, თბილისის N8 სკოლა არ დაფინანსდებოდა მსოფლიო ბანკის კრედიტიდან. დარჩენილი 7 სკოლის მშენებლობა მსოფლიო ბანკის პროექტის შეფასებისა და კონტრაქტის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი ღირებულებებით.

ათ.ლარი

| N/N | სკოლის დასახელება   | მოსწავლეთა კონტიგენტი | მსოფლიო ბანკის პროექტის შეფასების დოკუმენტით განსაზღვრული მშენებლობის ღირებულება. კურსი 1 აშშდ = 1,74 ლარი |         | კონტრაქტით განსაზღვრული ღირებულება | სხვაობა 6-5 | შენიშვნა                      |
|-----|---------------------|-----------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|------------------------------------|-------------|-------------------------------|
|     |                     |                       | დოლარი                                                                                                     | ლარი    |                                    |             |                               |
| 1   | 2                   | 3                     | 4                                                                                                          | 5       | 6                                  | 7           | 8                             |
| 1   | სოფ. დიდმის სკოლა   | 1080                  | 1800.0                                                                                                     | 3132.0  | 6286.1                             | 3154.1      |                               |
| 2   | ქ.ბორჯომის N3 სკოლა | 720                   | 1200.0                                                                                                     | 2088.0  | 3511.1                             | 1423.1      |                               |
| 3   | სოფ. ვაზიანის სკოლა | 360                   | 900.0                                                                                                      | 1566.0  | 3697.0                             | 2131.0      | პირველი კონტრაქტის ღირებულება |
| 4   | სოფ. გაევაზის სკოლა | 360                   | 900.0                                                                                                      | 1566.0  | 4889.9                             | 3223.9      |                               |
| 5   | სოფ. ჯუგაანის სკოლა | 400                   | 900.0                                                                                                      | 1566.0  | 3771.9                             | 2205.9      |                               |
| 6   | სოფ. ჩხარის სკოლა   | 600                   | 900.0                                                                                                      | 1566.0  | 3995.8                             | 2429.8      | პირველი კონტრაქტის ღირებულება |
| 7   | სოფ. ტაძრისის სკოლა | 420                   | 900.0                                                                                                      | 1566.0  | 3972.8                             | 2406.8      |                               |
| სულ |                     |                       | 7500.0                                                                                                     | 13050.0 | 30124.6                            | 16974.6     |                               |

როგორც ცხრილიდან ირკვევა, ასაშენებელი სკოლების საკონტრაქტო საერთო ღირებულებამ 16974,6 ათასი ლარით გადააჭარბა მსოფლიო ბანკის პროექტის შეფასების დოკუმენტით გათვალისწინებულს, თუმცა, აღნიშნული სხვაობა დაფინანსდა იმავე მსოფლიო ბანკის კრედიტით.

დაფინანსების ხელშეკრულების თანახმად, პროექტის განხორციელება დაგეგმილი იყო 2006-2009 წლებში. თუმცა, 2008 წლის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილის საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართა მსოფლიო ბანკს პროექტის დასრულების ვადის ერთი წლით 2010 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელების თაობაზე, რაც დაკმაყოფილებული იქნა.

## 1.2. პროექტის მონიტორინგი და ანგარიშგება

საერთაშორისო განვითარების ასოციაციასა და საქართველოს შორის 2006 წლის 17 ნოემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებასა და მსოფლიო ბანკის პროექტის შეფასების დოკუმენტის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო პროექტის მთლიან განხორციელებაზე, კონკრეტულად მინისტრის მოადგილეს კოორდინაცია და დახმარება უნდა გაეწია პროექტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების მუშაობისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით აუდიტორული ჯგუფის წერილობითი მიმართვის შედეგად სამინისტროდან პასუხი (წერილი N15-08-1/10249 18.06.2010წ) მიღებულ იქნა დაგვიანებით, რომლის მიხედვითაც კონკრეტულად APL2 პროექტზე პასუხისმგებელი მინისტრის მოადგილის შესახებ ინფორმაცია სამინისტროში დაცული არ არის. ზოგადად პროგრამა/პროექტების ზედამხედველობა მინისტრის 2007 წლის 20 აპრილის N287 ბრძანების პირველი პუნქტის თანახმად ევალებოდა მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს (ბელა წიფურია). შესაბამისად, ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია განათლების სამინისტროს მიერ პროექტის მთლიან განხორციელებასა და კოორდინაციაზე გაწეულ საქმიანობაზე.

გარდა ამისა, 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს შესაბამის სამსახურს (სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“) სკოლების მშენებლობაზე საპროექტო ორგანიზაციებთან არ გაუფორმებია ხელშეკრულება საავტორო (საპროექტო) ზედამხედველობაზე, რაც ხელს შეუწყობდა მშენებლობის ხარისხის კონტროლს, ასევე, არ ჩაუტარებია 5 სკოლის გარე ქსელების დაპროექტება-მონტაჟისთვის საჭირო სამუშაოები.


### რეკომენდაციები:

- უზრუნველყოს პროექტით გათვალისწინებული სკოლების მშენებლობაზე საპროექტო ორგანიზაციებთან საავტორო (საპროექტო) ზედამხედველობის ხელშეკრულებების გაფორმება.
- ასევე, უზრუნველყოს მშენებარე სკოლების გარე ქსელების დაპროექტება-მონტაჟისთვის აუცილებელი სამუშაოების შესრულება იმ სკოლებზე, რომლებზეც იგი არ განხორციელებულა.

## სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი“


### 1. პროექტის ფარგლებში მიღებული სახსრების, მათ შორის, გრანტის, კრედიტის და საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება

2008 წელს პროექტის APL-2 ფარგლებში პირველი „ა“ ქვეკომპონენტის შესასრულებლად მიღებულმა დაფინანსებამ 1159,8 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი ხაზინის მონაცემებით გაწეულ იქნა 772,5 ათასი ლარის ოდენობით, ორგანიზაციის მონაცემებით კი 755,7 ათასი ლარი. სხვაობა შეადგენდა 16,8 ათასი ლარს, რომელიც დაბრუნებულ იქნა სსკბ „ბაზის ბანკში“ გახსნილ N134624 სალარე ანგარიშზე. აღნიშნული თანხიდან 14,1 ათასი ლარი წარმოადგენს მივლინების აუთვისებელ ნაშთს, ხოლო 2,7 ათასი ლარი ზედმეტად გადახდილი ხელფასის დაბრუნებაა. სსკბ „ბაზის ბანკში“ 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ორგანიზაციის ანგარიშზე ირიცხებოდა 11,7 ათასი ლარი, რომელიც მომდინარეობდა APL-1 პროექტის ფარგლებში მიღებული დაფინანსებიდან. 2008 წლის განმავლობაში აღნიშნული ბანკიდან ხარჯი არ გაწეულა. 2008 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ხაზინის ანგარიშზე ნაშთად ირიცხებოდა 437,5 ათასი ლარი. 2008 წლის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 748,9 ათასი ლარი.



| სულ 2008                | 755.7 |
|-------------------------|-------|
| ხელფასი                 | 538.8 |
| მივლინებები             | 34.2  |
| საქონელი და მომსახურება | 182.7 |

2009 წლის დაფინანსებამ 1123,4 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც ნაშთის გათვალისწინებით ხაზინის მონაცემების თანახმად გაიწია 1268,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად საკასო ხარჯი ასევე გაიწია ბაზის ბანკში არსებული ნაშთიდან 10,4 ათასი ლარის ოდენობით. ფაქტობრივმა ხარჯმა 2009 წლის განმავლობაში 1256,8 ათასი ლარი შეადგინა. 2009 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ხაზინაში ნაშთად ირიცხებოდა 291,8 ათასი ლარი, ხოლო სსკბ „ბაზის ბანკში“ 6,4 ათასი ლარი.



|                         |         |
|-------------------------|---------|
| სულ 2009                | 1,279.3 |
| ხელფასი                 | 583.4   |
| მივლინებები             | 126.3   |
| საქონელი და მომსახურება | 569.6   |

პროექტის ფარგლებში კომპონენტის მიხედვით განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებით შედგენილია შესყიდვების გეგმა, რომელთა შეთანხმებაც ხდება მსოფლიო ბანკთან. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ყოველი ტრანზაქცია თანხმდება აღნიშნულ ბანკთან.

შესწავლილ იქნა პროექტის ფარგლებში განხორციელებული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის შედეგადაც გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები:

ორგანიზაციის დირექტორის 2009 წლის 5 მარტის N063 ბრძანების თანახმად, მივლინებულ თანამშრომელზე ანაზღაურებულ იქნა 3601,22 ლარი. ხარჯვის დოკუმენტაციის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მგზავრობის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია მხოლოდ ავიაკომპანიის 2009 წლის 23 მარტის N89 ინვოისი 1568,8 ლარზე. აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტად წარმოდგენილია ავიაკომპანიის „თრაი თუ თრეველ“-ის სალაროს შემოსავლის უნომრო ორდერი (ავიაბილეთი წარმოდგენილი ვერ იქნა).<sup>2</sup> მოქმედი კანონმდებლობა კი ნაღდი ფულის გადახდის ფაქტის დასადასტურებლად ითვალისწინებს საკასო აპარატის მიერ ამობეჭდილი ჩეკის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოდგენას.

2009 წლის 11 ნოემბრის N202 ბრძანების თანახმად 26-30 ოქტომბერს ქ. ბუდვანში (მონტენეგრო) მივლინებულნი იქნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკადემიური განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ ჩიტაია და ამავე სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნათია ანდლულაძე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 23 ოქტომბრის N437/მ ბრძანების საფუძველზე სამივლინებო ხარჯები ანაზღაურებული იქნა სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ მიერ (მსოფლიო ბანკის გრანტი TF 057515 სახსრებიდან-APL 2). აღნიშნული მივლინების ფარგლებში ნუგზარ ჩიტაიას საგადახდო მოთხოვნა N2192 (08.12.2009 წ.) აუნაზღაურდა 2728 ლარი, ხოლო ნათია ანდლულაძეს საგადახდო მოთხოვნა N2191 (08.12.2009წ) - 4311,21 ლარი. სამსახურებრივ მივლინებად ითვლება შესაბამისი დაწესებულების თანამშრომლის

<sup>2</sup> დარღვეულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის N97<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის N148 ბრძანებით დამტკიცებული „საკონტროლო სალარო აპარატის ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტის წარმოების და რეგისტრაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

გამგზავრება სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პირები ცენტრის თანამშრომლები არ იყვნენ, დაუშვებელი იყო აღნიშნული მივლინების APL2-ის თანხებიდან დაფინანსება.<sup>3</sup> თუმცა, მივლინება, გრანტის მართვის პირობების მიხედვით, დონორმა ორგანიზაციამ (მსოფლიო ბანკი) თანხმობა მისცა ცენტრს მივლინების გრანტიდან დაფინანსებაზე.

#### რეკომენდაცია

- ხარჯების ანაზღაურება განახორციელოს შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ფაქტობრივი ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

## 2. პროექტის კომპონენტების შესრულების მდგომარეობა

### 2.1. კომპონენტი 1: პედაგოგიური გარემოს გაუმჯობესება

#### *ა. ქვეკომპონენტი - ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და მოსწავლეთა შეფასების სისტემის გაძლიერება*

ქვეკომპონენტის მიზანს წარმოადგენს ეროვნული სასწავლო პროგრამის მეთოდოლოგიისა და სწავლების შინაარსის გაუმჯობესება, ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და მოსწავლის შეფასების მეთოდოლოგიის შეცვლა, მასწავლებელთა ინსტრუქტორების ტრენინგი და სხვ.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2008-2009 წლებში პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:

- 2008-2009 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცდა სასწავლო წლის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა I, II, III, VII, VIII, IX, X, XI, XII კლასებისთვის.

- 2009-2010 სასწავლო წლისთვის ახალი კურიკულუმი დაინერგა ქართულენოვანი სკოლების მე-5 კლასში და უმცირესობის სკოლების მე-4 კლასში.

- 1050 სკოლიდან ახლად არჩეული დირექტორები დატრენინგდნ მთელი საქართველოს მაშტაბით. ტრენინგის მიზანია ეროვნულ სასწავლო გეგმების პოპულარიზაცია საზოგადოებაში.

სკოლების ფიზიკური გარემოს მოვლა-პატრონობის ტრენინგი ფინანსდებოდა იაპონიის მთავრობის გრანტის ფარგლებში. ამიტომ მე-2 კომპონენტის - კონსულტანტებისა და ტრენინგების თანხები (150000 აშშ დოლარი) აისახა „ეროვნულ სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის“ შესყიდვების გეგმაში (კონსულტანტების მიერ მე-2 კომპონენტის მონიტორინგზე გაწეული საქმიანობის ინფორმაცია იხილეთ აქტის მე-5 საკითხში).

<sup>3</sup> დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების 1 პუნქტის მოთხოვნები.

### 3. პროექტის ფარგლებში გაფორმებული შესყიდვების ხელშეკრულებების განხორციელების მდგომარეობა

საქართველოს მთავრობასა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას (IDA) შორის გაფორმებულია ხელშეკრულება იაპონურ PHDD NTF057515 გრანტთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას. შესაბამისად, აღნიშნული გრანტის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვის პროცედურები რეგულირდება მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი სტანდარტული პროცედურების მიხედვით. აღნიშნული გრანტის შესყიდვების გეგმა მოიცავს საკონსულტაციო და ტრენინგის კატეგორიებს. გრანტით ფინანსდებოდა სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა“ და სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის“ მიერ გაწეული ხარჯები.

2008 წლის 4 აპრილს სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმების შეფასების ცენტრსა“ და „სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება II, VIII, XI კლასების სახელმძღვანელოების რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე თარგმნის შესახებ. სახელშეკრულებო ვადა განისაზღვრა 2008 წლის 10 აგვისტომდე. გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, „ეროვნული სასწავლო გეგმების შეფასების ცენტრმა“ მიიღო 119,0 ათასი ლარის ღირებულების მომსახურება.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებელი ვალდებული იყო სახელმძღვანელოების მხოლოდ თარგმნასა და ელექტრონულ ფორმატში მოწოდებაზე, ხოლო ნათარგმნი სახელმძღვანელოების გამოცემისა და გავრცელების აქტივობის უზრუნველყოფა სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს“ ხელშეკრულებებით არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად, ცენტრმა ნათარგმნი მასალები დაბეჭდილი სახით ვერ წარმოადგინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და ნათარგმნი მასალების ელექტრონულ ფორმატში მოწოდების მიუხედავად, სახელმძღვანელოები არ იყო ხელმისაწვდომი ბაზრისათვის.

2009 წელს სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა“ გააფორმა შესყიდვის ხელშეკრულება 8 სხვადასხვა ფირმასთან სასკოლო სახელმძღვანელოების რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ და აფხაზურ ენებზე თარგმნასა და გამოცემაზე. ისტორიისა და გეოგრაფიის IX კლასის სახელმძღვანელოების რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, აფხაზურ და ოსურ ენებზე თარგმნა და გამოცემა ხელშეკრულებით (NoGEP/TA/003/CQ/NCAC-6) დაეკისრა შპს „ლოგოს სპრესს“, სახელშეკრულებო თანხით - 113,0 ათასი ლარი.

იქიდან გამომდინარე, რომ ცენტრს არ დაუქირავებია აფხაზური და ოსური ენების ექსპერტები, არ განხორციელებულა აღნიშნულ ენებზე ნათარგმნი მასალების რედაქტირება. ხელშეკრულების თანახმად კი, გადახდა უნდა განხორციელებულიყო მხოლოდ ექსპერტების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

გარდა ამისა, აღნიშნულ ენებზე სახელმძღვანელოები გამოცემულია მხოლოდ ელექტრონულ ფორმატში, ხელშეკრულება კი ითვალისწინებდა სახელმძღვანელოების თარგმნასა და გამოცემას ისე, რომ ისინი ხელმისაწვდომი ყოფილიყო თავისუფალ

ბაზარზე. სახელმძღვანელოები მათი ელექტრონულ ფორმატში გამოცემით ვერ იქნება ხელმისაწვდომი თავისუფალ ბაზარზე და, შესაბამისად, ვერ შეუქმნის ეროვნულ უმცირესობებს აღნიშნული სახელმძღვანელოებით სარგებლობისა და სწავლის სრულყოფილ შესაძლებლობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ შპს „ლოგოს სპრეს“-ს სახელმძღვანელოების მხოლოდ თარგმნა ევალებოდა, მაშინ, წიგნები არც რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე არ უნდა დაბეჭდილიყო.

შედარებისათვის, ყურადსაღებია 2008 წელს „სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტთან“ დადებული ხელშეკრულებაც, რომლის თანახმადაც, ერთი გვერდის თარგმნის ფასმა შეადგინა 8 ლარი. შპს „ლოგოს სპრეს“-თან დადებული ხელშეკრულებიდან იკვეთება, რომ ერთი გვერდის ღირებულება იყო 16,6 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოცემა გულისხმობს არა მხოლოდ თარგმნას, არამედ მის დაბეჭდვასა და სახელმძღვანელოს სახით გამოცემას, რაც არ განხორციელდა, და შესაბამისად, ვერ იქნა მიღწეული ხელშეკრულების მიზანი, რაც გულისხმობს განათლების ერთიანი სივრცის შექმნას სწავლების ენისგან დამოუკიდებლად.

აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოსაცემი სახელმძღვანელოების ხვედრითი წილი შპს „ლოგოს სპრესთან“ დადებული ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან შეადგენს 36,3 ათას ლარს, რაც სრულად იქნა ანაზღაურებული. გამომდინარე იქიდან, რომ მიმწოდებელს სრულად არ შეუსრულებია სახელშეკრულებო ვალდებულებები, ცენტრს უნდა აენაზღაურებინა მხოლოდ თარგმნისათვის გათვალისწინებული თანხა (17,5 ათასი ლარი)<sup>4</sup>, შესაბამისად, 18,8 ათასი ლარის ღირებულების აქტივობა არ განხორციელებულა.

#### რეკომენდაციები:

- შესყიდვის ხელშეკრულებების შემუშავებისას წინასწარ განისაზღვროს მისი პირობების შესრულების შედეგად მისაღები რეალური სარგებლიანობა.
- მოსთხოვოს შპს „ლოგოს სპრეს“-ს სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება ან შეუსრულებელი ვალდებულებისათვის გათვალისწინებული თანხის უკან დაბრუნება.
- სახელშეკრულებო თანხის გადახდა განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა აქტივობის სრულყოფილად შესრულების შემდეგ.

#### 4. პროექტის ფარგლებში წარმოშობილი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები

სსიპ „ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს“ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა 7,7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება.

<sup>4</sup> თანხის დაანგარიშება მოხდა შემდეგნაირად: აფხაზურ და ოსურ ენებზე ნათარგმნი გვერდების რაოდენობა (2190) x ერთი გვერდის თარგმნის ღირებულება (8 ლარი) = 17,5 ათასი ლარი.

აქედან 7,3 ათასი ლარი წარმოადგენდა მოთხოვნებს მივლინებებზე, ხოლო 0,4 ათასი ლარი ზედმეტად გადარიცხულ საშემოსავლო გადასახდს. კრედიტორული დავალიანების სახით ორგანიზაციას ერიცხებოდა 0,9 ათასი ლარის დავალიანება, საიდანაც 0,4 ათასი ლარი შეადგენდა მოთხოვნებს მივლინებით, 0,3 ათასი ლარი-საკონსულტაციო-სატრენინგო კომპანიის (CITO), ხოლო 0,2 ათასი ლარი-საკურსო სხვაობის (არარეზიდენტებზე გადარიცხვები) დავალიანებებს.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციაზე რიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენდა 30,1 ათასი ლარს, საიდანაც 20,0 ათასი ლარი წარმოადგენდა ააიპ „საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის“ დავალიანებას, აღნიშნული გამოწვეული იყო დირექტორების ტრენინგის ვადის შეცვლის გამო ორგანიზაციასთან კონტრაქტის ვადის 2010 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელებით, ხოლო 10,1 ათასი ლარი შეადგენს მოთხოვნებს მივლინებით. კრედიტორული დავალიანების სახით ორგანიზაციას ერიცხებოდა 0,8 ათასი ლარი, საიდანაც 0,4 ათასი ლარი წარმოადგენდა მოთხოვნას მივლინებით, 0,3 ათასი ლარი საშემოსავლო გადასახადის დავალიანებას, ხოლო 0,1 ათასი ლარი საკურსო სხვაობაა.


## 5. პროექტის მონიტორინგი და ანგარიშგება

მსოფლიო ბანკის შეფასების დოკუმენტის მოთხოვნის თანახმად 7 სკოლიდან 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, არც ერთ მათგანზე არ გაფორმებულა ხელშეკრულება საავტორო (საპროექტო) ზედამხედველობაზე, რაც აუცილებელი იყო ხარისხის უზრუნველყოფისათვის. ასევე აღნიშნული პერიოდისთვის მხოლოდ ბორჯომის სკოლაზე გაკეთდა გარე ქსელები სრულყოფილად (პროექტი-მონტაჟი). დანარჩენ 6 სკოლაზე (სოფ. გავაზის სკოლის გარდა) გარე ქსელები არ დაპროექტებულა და, შესაბამისად, არც სამუშაოები ჩატარებულა (იხ. ვრცლად კონსულტანტის ინფორმაცია).

### სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“


#### 1. პროექტის ფარგლებში მიღებული სახსრების, მათ შორის, გრანტის, კრედიტის და საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება

პირველი „ბ“ ქვეკომპონენტის შესასრულებლად მიღებულმა დაფინანსებამ 2008 წელს 310,5 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც საკასო და ფაქტობრივი ხარჯი გაწეულ იქნა 229,0 ათასი ლარის ოდენობით. წლის ბოლოსთვის სახაზინო ანგარიშზე 81,5 ათასი ლარის ნაშთი ირიცხებოდა.



|                         |       |
|-------------------------|-------|
| სულ 2008                | 229.0 |
| ხელფასი                 | 49.9  |
| მივლინებები             | 24.0  |
| საქონელი და მომსახურება | 155.1 |

აღნიშნული ნაშთის გათვალისწინებით 2009 წლის განმავლობაში მიღებულმა დაფინანსებამ 540,5 ათასი ლარი შეადგინა. საკასო და ფაქტობრივი ხარჯი გაწეულ იქნა 401,7 ათასი ლარის ოდენობით. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხებოდა 138,8 ათასი ლარი.



|                         |       |
|-------------------------|-------|
| სულ 2009                | 401.7 |
| ხელფასი                 | 213.2 |
| მივლინებები             | 1.3   |
| საქონელი და მომსახურება | 187.2 |

## 2. პროექტის კომპონენტების შესრულების მდგომარეობა

### 2.1. კომპონენტი 1 - პედაგოგიური გარემოს გაუმჯობესება

„ბ“ ქვეკომპონენტი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერება

ქვეკომპონენტის მიზანია: გააუმჯობესოს მასწავლებლის კვალიფიკაცია, შეიმუშავოს მასწავლებლებისთვის სტანდარტები, ორგანიზება გაუწიოს სემინარებსა და კონფერენციებს, შეიმუშაოს და უზრუნველყოს სერტიფიკაცია, როგორც არსებული ასევე მომავალი მასწავლებლებისთვის და სხვ. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ 2008-2009 წლებში პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესახებ წარმოდგენილი იქნა სათანადო ინფორმაცია.

2008 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ითარგმნა და დაიბეჭდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე.

2009 წლის დასაწყისში ითარგმნა და დაიბეჭდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი რუსულ ენაზე. 2008-2009 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა მასწავლებლის ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელოზე.

შემუშავდა მასწავლებლის მომზადების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების პროექტი. ჩატარდა აკრედიტაციის პირველი ეტაპი. 4 დეკემბერს დამტკიცდა მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება და მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუში.

2009 წლის მდგომარეობით დასრულდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვაუჩერების გაცემა. რესურს ცენტრის მიერ სულ გაიცა 11948 ვაუჩერი.

მომზადდა მენტორების შერჩევის კრიტერიუმები და მათი სამუშაოს აღწერილობა, შემუშავდა მენტორთა სახელმძღვანელო და მომზადდა მენტორთა ტრენინგი.

„ასწავლე საქართველოსთვის“ პროექტის განხორციელება დაიწყო 2009 წლის მარტიდან, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნება ვაკანსიების მხრივ პრობლემურ სკოლებში და ამ გზით, სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

### 3. პროექტის ფარგლებში გაფორმებული შესყიდვების ხელშეკრულებების განხორციელების მდგომარეობა

2008 წელს სსიპ - „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა“ გააფორმა სხვადასხვა პიროვნებებთან შრომითი ხელშეკრულება (სულ 12 საერთო თანხით 0,8 ათასი ლარი) მასწავლებელთა სასერტიფიკაციო ტესტირების ორგანიზების მომსახურებასთან დაკავშირებით, დღიური ანაზღაურება 25 ლარზე. არც ერთი ხელშეკრულება არ არის დათარიღებული და შესაბამისად შეუძლებელია მომსახურების დღეების ოდენობის დადგენა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ანგარიშსწორება.

2009-2010 სასწავლო წლებში, სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“ ახორციელებს მასწავლებლობის მაძიებლობის საპილოტე პროექტის მეორე ეტაპს, რომლის ფარგლებში მოხდა მენტორების (სპეციალურად მომზადებული გამოცდილი და კვალიფიციური მასწავლებლები) და მასწავლებლობის მაძიებლების შერჩევა კონკურსის წესით. 2009 წელს გაფორმდა 82 შრომითი ხელშეკრულება მენტორ მაძიებლებთან საერთო თანხით 9,6 ათასი ლარი. ხელშეკრულების 4 პუნქტი ითვალისწინებს სამ თვიანი გამოსაცდელი ვადით ხელშეკრულების გაფორმებას და ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წარმოდგენილ ზოგიერთ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული თარიღი, რითაც შეუძლებელი ხდება იმის დადგენა თუ როდის დაიწყო ამათუ იმ მენტორ-მაძიებელმა ხელშეკრულების პირობების შესრულება.

საბუღალტრო დოკუმენტაცია არ არის ქრონოლოგიურად დალაგებული და აკინძული (გარდა 2008 წლის საბუღალტრო დოკუმენტებისა).<sup>5</sup>

<sup>5</sup> დარღვეულია ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნა.

#### რეკომენდაციები:

- პროექტის ფარგლებში შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას ყურადღება გაამახვილოს ყველა რეკვიზიტის შევსებაზე, კერძოდ ვალდებულებით ნაკისრი პირობების შესრულების საწყის და საბოლოო ვადებზე.
- საბუღალტრო დოკუმენტების სისტემატიზაცია აწარმოონ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

#### 4. პროექტის ფარგლებში წარმოშობილი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები

ცენტრის მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად 2008-2009 წლებში APL2 პროექტის ფარგლებში დებიტორ-კრედიტორული დავალიანებები არ ერიცხებოდა.


#### 5. პროექტის მონიტორინგი და ანგარიშგება

წინასწარ დადგენილი პერიოდულობით და გეგმის მიხედვით ხდება მიმდინარე ღონისძიებების მონიტორინგი და კონტროლი და შესაბამისი მონაცემების ასახვა. ამასთანავე, შემუშავდა და დამტკიცდა სპეციალური ფორმები პროექტის ინიცირების, მომზადების, დაგეგმვის, მონიტორინგისა და კონტროლისათვის, რომელთა მიხედვითაც ხდება ახალი პროექტების მომზადება, დამტკიცება და კონტროლი.

#### სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“


##### 1. პროექტის ფარგლებში მიღებული სახსრების, მათ შორის, გრანტის, კრედიტის და საბიუჯეტო ასიგნებების ხარჯვის მიზნობრიობა და კანონიერება

2008 წელს მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში (სახაზინო კოდი 1691) მიღებული აქვს 7154,9 ათასი ლარის დაფინანსება. საიდანაც 5324,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი გაიწია, აქედან სუბსიდიის მუხლით 781,9 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯები, მსოფლიო ბანკის პროექტის შეფასების დოკუმენტის თანახმად, უნდა დაფინანსებულიყო პროექტით გათვალისწინებული მთლიანად გადახდილი თანხის 6%-ის ფარგლებში. მათ შორის: პერსონალის ხელფასი, სატრანსპორტო საშუალებების და ტექნომსახურების, ადგილობრივი მგზავრობის, ოფისის, კომუნალური, კავშირგამბულობის და სხვა საოპერაციო ხარჯები. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით საკასო ხარჯმა 4542,9 ათასი ლარი შეადგინა. ფაქტობრივი ხარჯი გაწეულ იქნა 3252,3 ათასი ლარის ოდენობით, სხვაობა საკასო ხარჯთან მიმართებაში (2072,6 ათასი ლარი) გამოწვეულია სკოლების მშენებლობაზე კონტრაქტორებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსების გადახდით. წლის ბოლოს სახაზინაში ანგარიშზე ნაშთი შეადგენდა 554,5 ათას ლარს.



| სულ 2008                | 5,324.9 |
|-------------------------|---------|
| ხელფასი                 | 546.5   |
| მივლინებები             | 7.6     |
| საქონელი და მომსახურება | 227.9   |
| არაფინანსური აქტივები   | 4,542.9 |

2009 წლის განმავლობაში სალარე ანგარიშზე მიღებულმა დაფინანსებამ 12030,8 ათასი ლარი შეადგინა. საკასო ხარჯი გაწეულ იქნა 16142,4 ათასი ლარის ოდენობით, აქედან მთავრობის თანადაფინანსებით 2929,2 ათასი ლარი (სახაზინო კოდი N132), მათ შორის: 876,6 ათასი ლარი სუბსიდიების მუხლით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით - 15274,7 ათასი ლარი. ფაქტობრივი ხარჯი გაწეულ იქნა 18418,6 ათასი ლარის ოდენობით, სხვაობა საკასო ხარჯთან შედარებით (2276,2 ათასი ლარი) გამოწვეულია კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილი სამშენებლო სამუშაოების შესრულებიდან 5%-იანი სარეზერვო თანხების დაკავებით (კრედიტორული დავალიანება).



| სულ 2009                | 16,142.4 |
|-------------------------|----------|
| ხელფასი                 | 532.9    |
| მივლინებები             | 8.7      |
| საქონელი და მომსახურება | 326.0    |
| არაფინანსური აქტივები   | 15,274.7 |

## 2. პროექტის კომპონენტების შესრულების მდგომარეობა

### 2.1 კომპონენტი 2 - სასწავლო მატერიალური ბაზის გაუმჯობესება

მსოფლიო ბანკთან შეთანხმების შედეგად სკოლების მშენებლობაზე დამტკიცებული გეგმის თანახმად, ჩატარებულ იქნა საერთაშორისო ტენდერები, რომლის შედეგადაც 7 სკოლის მშენებლობაზე გაფორმებული კონტრაქტების თანახმად საერთო ღირებულება განისაზღვრა 30124,6 ათასი ლარის ოდენობით. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სკოლების მშენებლობებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა 20362,8 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივად შესრულებულმა სამუშაოთა ღირებულებამ

20027,6 ათასი ლარი. (წარმოშობილ დებიტორ-კრედიტორულ დავალიანებაზე იხ. აქტის მე-4 საკითხში).

### 3. პროექტის ფარგლებში გაფორმებული შესყიდვების ხელშეკრულებების განხორციელების მდგომარეობა

დაფინანსების ხელშეკრულების ნაწილი III-ის (შესყიდვა) წესების თანახმად, სკოლების მშენებლობის შესყიდვებზე გამოყენებულ იქნა საერთაშორისო  (შეწყობილია).

აქედან გამომდინარე, შესყიდვის ხელსაყრელ ფასში განხორციელების მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა ტენდერის ხელახლა ჩატარება. ხელშეკრულებით No APL2/CW/ICB/04-2008 მშენებლობის დასრულების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 31 ოქტომბერი.

ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების თანახმად სამუშაოების დასრულების თარიღმა გადაიწია 2010 წლის 28 თებერვლამდე. სამშენებლო ორგანიზაციამ კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოახერხა მშენებლობის დასრულება იმის გამო, რომ შენობის გარკვეული ნაწილი დაპროექტებული იყო არსებული სკოლის ტერიტორიის მიმდებარე კერძო ტერიტორიაზე, პროექტირების პერიოდში ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან იყო პირობა, რომ მოხდებოდა ამ ტერიტორიების შესყიდვა სკოლის სასარგებლოდ, რომელიც შემდგომში მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო. აქედან გამომდინარე საპროექტო ორგანიზაციამ მოახდინა შენობის გადაგეგმარება სკოლის არსებულ ტერიტორიაზე, რის გამოც მშენებლობა დაიწყო 25 ივლისს, ნაცვლად 9 ივნისისა. გარდა ამისა, შენობის გადაგეგმარებამ გამოიწვია არსებული სკოლის ორსართულიანი შენობის 6 მეტრიანი მონაკვეთის მონგრევა, რისთვისაც აუცილებელი იყო ნებართვები როგორც განათლების სამინისტროდან, ასევე სახელმწიფო ქონების აღრიცხვის რეგიონალური სამმართველოდან. ნებართვის აღებაზე დაიკარგა დრო, რის გამოც შეუძლებელი გახდა შენობის ნაწილის დანგრევა, ვინაიდან იყო სასწავლო წელი და იგი ხელს შეუშლიდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობას.

მუნიციპალიტეტის მიერ პირობის შეუსრულებლობამ გამოიწვია მშენებლობის დასრულების თარიღის მნიშვნელოვნად გადაწევა და დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. იმის მიუხედავად, რომ მუნიციპალიტეტიდან იყო პირობა კერძო ტერიტორიის შესყიდვასთან დაკავშირებით, სკოლა არ უნდა დაპროექტებულიყო ისეთ ტერიტორიაზე, რომლის გარკვეული ნაწილი კვლავაც კერძო საკუთრებაში რჩებოდა.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7 მშენებარე სკოლიდან ფაქტიურად დასრულდა მხოლოდ ქ. ბორჯომის №3 სკოლის მშენებლობა, თუმცა ოფიციალურად წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა (გაფორმდა 2010 წლის 18 მაისს). ცალკეული სკოლების დასრულების თარიღი შეიცვალა რამდენჯერმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მიზეზად სახელდება სხვადასხვა გარემოებები, კერძოდ: კლიმატური პირობები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ შეუსრულებელი ვალდებულებები, 2008 წლის ზაფხულში საქართველოში განვითარებული საომარი მოქმედებები, დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობები და სხვა. ხელშეკრულება მოიშალა ორ შემთხვევაში კონტრაქტორ შპს „ჰიდროსპეცგვირაბმშენის“ მიზეზით, რის გამოც იგი დაჯარიმებულ იქნა საკონტრაქტო ღირებულების 10%-ის ოდენობით, საერთო თანხით 769,3 ათასი ლარით (თანხა მიიმართა ბიუჯეტში). ასევე, მის მიერ დაბრუნებულ იქნა ავანსად მიღებული თანხა 554,5 ათასი ლარის ოდენობით. (იხ.დანართი სკოლების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ).

#### 4. პროექტის ფარგლებში წარმოშობილი დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხებოდა 2176,5 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რაც წარმოადგენდა კონტრაქტორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საავანსო გადახდილ თანხებს. კრედიტორული დავალიანების სახით ორგანიზაციას ერიცხებოდა 114,7 ათასი ლარის დავალიანება, რაც წარმოადგენდა იგივე კონტრაქტორ ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებიდან ხელშეკრულებების თანახმად 5% სარეზერვო თანხების დაკავების შედეგად წარმოქმნილ დავალიანებას. 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგივე კონტრაქტორებზე რიცხული დებიტორული დავალიანება შემცირდა 1403,3 ათასი ლარით და შეადგინა 773,2 ათასი ლარი. წლის განმავლობაში წარმოშობილი იქნა 4,9 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება აუდიტორ მომსახურებაზე ავანსად გადარიცხული თანხის სახით. სულ დებიტორულმა დავალიანებამ 778,2 ათასი ლარი შეადგინა. კრედიტორული დავალიანება იგივე კონტრაქტორებთან წინა წელთან შედარებით გაიზარდა 877,8 ათასი ლარით და შეადგინა 992,5 ათასი ლარი (5%-ანი სარეზერვო თანხების დაკავება).

#### 5. პროექტის მონიტორინგი და ანგარიშგება

მგფ-ის შესაბამისი სამმართველო ხელმძღვანელობს და პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ასპექტზე. პროექტის მართვის გუნდი ადგენს მონიტორინგს და შეფასების გეგმას, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად გაწეულ იქნა შემდეგი სახის საქმიანობა.

მსოფლიო ბანკის შეფასების დოკუმენტის მოთხოვნის თანახმად, თითოეულ ობიექტზე ორ თვეში ერთხელ ტარდება გარემოსდაცვითი მონიტორინგი, რომლის დროსაც ყურადღება ექცევა:

- სერტიფიცირებული მასალებით სარგებლობის აუცილებლობას;
- სამშენებლო მასალების გატანის ნებართვას (შესაბამისი ორგანოს მიერ ადგილის მითითებით);
- ნიადაგის, წყლის, ჰაერის დეგრადაციის ან დაბინძურების პოტენციური საფრთხის არსებობას. აგრეთვე, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობას;
- საზოგადოების მონაწილეობის დონეს და მათი ინტერესების გათვალისწინების მდგომარეობას.

ამასთან ერთად, ხორციელდება სამშენებლო უბნის ფიზიკური დათვალიერება იმ მიზნით, რომ გაირკვეს, თუ რა გავლენას ახდენს ქვეპროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები უბანზე ან მეზობელ ტერიტორიაზე.

მონიტორინგის პროცედურები ხორციელდება მსოფლიო ბანკთან შეთანხმებული სამოქმედო სახელმძღვანელოთი, რომელსაც რეგულარულად ამოწმებს მსოფლიო ბანკი.

პროექტში მონაწილე ორგანიზაციებიდან პროექტის მიმდინარეობის ყოველკვარტალური ანგარიში წარედგინება მსოფლიო ბანკს, ფინანსთა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს.

**აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრის ხელმოწერა  
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
აუდიტორი

ელგუჯა ბეროშვილი



ხელმოწერა

15.01.2013

თარიღი